

# International Journal of Social Sciences

Caucasus International University  
Volume 4, Issue 1

Journal homepage: <http://journal.ciu.edu.ge/>

DOI: <https://doi.org/10.55367/AAFA7111>



*Conference proceedings – “International Scientific Conference on Innovation and Entrepreneurship” organised by Caucasus International University Held on February 9-11, 2024 in Tbilisi and Telavi*

## State Support for Access to Finance in Georgia, Challenges and Opportunities

Ekaterine Aghamanashvili<sup>1</sup>

PhD student, Batumi Shota Rustaveli State University

### ABSTRACT

Small and medium-sized businesses are the most important lever for the country's economic development. It is the country's main source of employment and income for economic development and public welfare. Therefore, encouraging and developing entrepreneurship is a top priority for any country. The introduction of continuous innovation forms the unconditional basis for enterprises' long-term and sustainable success. Innovation needs technological perfection and renewal, which requires financial resources. Businesses often do not have the internal resources to introduce innovations and increase production. Providing enterprises with access to financial resources is a priority direction for the country. The paper aims to study the existing mechanisms of state financial support for entrepreneurship in Georgia, determine their effectiveness, identify potential opportunities, and develop recommendations for improving access to financial resources.

During the research process, articles by both foreign and Georgian scientists, published in local and international scientific publications, government reports and studies of international institutions, authoritative organizations, and statistical data were used. The methods of analysis and synthesis, including quantitative and qualitative analysis, are used as research methods. The paper identifies the main problems that appear as barriers for Georgian entrepreneurs in receiving financial support and elaborates on specific recommendations to solve them. The paper emphasizes the fact that, at the current stage in Georgia, despite the reforms implemented by the state, finding a source of financial resources remains a problem. When developing financial support programs, more attention should be paid and the needs of entrepreneurs should be investigated in depth. This will help increase the efficiency of grant projects, state programs, and business development. Proper access to finance will improve the competitiveness of small and medium-sized businesses and will contribute to the country's economic development.

**Keywords:** *Small and medium business, State support, Financial resources, Georgia*

<sup>1</sup> [ekaterine.aghamanashvili@bsu.edu.ge](mailto:ekaterine.aghamanashvili@bsu.edu.ge)

# ფინანსებზე ხელმისაწვდომობის სახელმწიფო მხარდაჭერა საქართველოში, გამოწვევები და შესაძლებლობები

ეკატერინე აღამანაშვილი

დოქტორანტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## ა ბ ს ტ რ ა ქ ტ ი

მცირე და საშუალო საწარმოები ქვეყნის ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი ბერკეტია. ისინი წარმოადგენენ ქვეყნის დასაქმებისა და შემოსავლების უმთავრეს წყაროს ეკონომიკური განვითარებისა და საზოგადოების კეთილდღეობისათვის. სწორედ ამიტომ მეწარმეობის ხელშეწყობა და განვითარება ნებისმიერი ქვეყნის მთავარი პრიორიტეტია. საწარმოების გრძელვადიანი და მდგრადი წარმატების უპირობო საფუძველს ქმნის მუდმივი ინოვაციის დანერგვა. ინოვაცია კი საჭიროებს ტექნოლოგიურ სრულყოფას და განახლებას და შესაბამისად, ფინანსურ რესურსებს. ბიზნესს კი ხშირ შემთხვევაში არ ჰყოფნის შიდა რესურსები სიახლეების დასანერგად და წარმოების გასაზრდელად. საწარმოების ფინანსურ რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფა პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ქვეყნისათვის.

ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველოში მეწარმეობის სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერის არსებული მექანიზმების შესწავლას, მათი ეფექტურობის დადგენას, პოტენციური შესაძლებლობების გამოვლენასა და ფინანსური რესურსების წვდომის გასაუმჯობესებლად რეკომენდაციების შემუშავებას.

კვლევის პროცესში გამოყენებულია როგორც უცხოელი, ასევე ქართველი მეცნიერების ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციებში გამოქვეყნებული სტატიები, საერთაშორისო ინსტიტუტების, ავტორიტეტული ორგანიზაციების სამთავრობო ანგარიშები, კვლევები და სტატისტიკური მონაცემები. კვლევის მეთოდად გამოყენებულია ანალიზისა და სინთეზის მეთოდები, მათ შორის რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი. ნაშრომში გამოვლენილია ის ძირითადი პრობლემები, რაც ბარიერებად ევლინება ქართველ მეწარმეებს ფინანსური მხარდაჭერის მიღებაში და შემუშავებულია კონკრეტული რეკომენდაციები მათ გადასაჭრელად.

ნაშრომი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ საქართველოში მიმდინარე ეტაპზე, მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული რეფორმებისა, ფინანსური რესურსების წყაროს მოძიება კვლავ პრობლემად რჩება. ფინანსური მხარდაჭერის პროგრამების შემუშავებისას საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს და სიღრმისეულად იყოს გამოკვლეული მეწარმეთა საჭიროებები. მოცემული ხელს შეუწყობს საგრანტო პროექტებისა და სახელმწიფო პროგრამების ეფექტურობის ზრდასა და ბიზნესის განვითარებას. ფინანსებზე სათანადო

ხელმისაწვდომობა კი გააუმჯობესებს მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობას და ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

---

*საკვანძო სიტყვები: მცირე და საშუალო ბიზნესი, სახელმწიფო მხარდაჭერა, ფინანსური რესურსები, საქართველო.*

## 1. შესავალი

მცირე და საშუალო ბიზნესი ქვეყნის ეკონომიკური სისტემის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. ის წარმოადგენს მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების უმთავრეს წყაროს ეკონომიკური განვითარებისა და საზოგადოების კეთილდღეობისათვის. სწორედ ამიტომ მეწარმეების ხელშეწყობა და განვითარება ნებისმიერი ქვეყნის მთავარი პრიორიტეტია.

საწარმოების გრძელვადიანი და მდგრადი წარმატების უპირობო საფუძველს ქმნის მუდმივი ინოვაციის დანერგვა. ინოვაცია კი საჭიროებს ტექნოლოგიურ სრულყოფას და განახლებას, რაც თავის მხრივ მოითხოვს ფინანსურ რესურსებს, როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად. ბიზნესს კი ხშირ შემთხვევაში არ ჰყოფნის შიდა რესურსები სიახლეების დასაწერად და წარმოების გასაზრდელად. არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ საქართველოში მიმდინარე ეტაპზე, მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული რეფორმებისა, ფინანსური რესურსების წყაროს მოძიება კვლავ პრობლემად რჩება. საქართველოს საფინანსო სისტემაში დომინანტური ადგილი აქვს კომერციულ ბანკს, რომელსაც უკავია მთლიანი საფინანსო სისტემის 90%-ზე მეტი. საფინანსო ბაზრის სხვა ალტერნატიული სეგმენტები კი ნაკლებად არის განვითარებული (Conde and Gattini, 2019). ამასთან, მოქნილი და სრულყოფილი საფინანსო ბაზრები უმნიშვნელოვანესია ბიზნესის განვითარებისთვის, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, რომლებიც ტრადიციულ საბანკო რესურსებზე წვდომის კუთხით ბევრ დარკოლებას აწყდებიან (European Union, 2019).

ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველოში მეწარმეობის სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური მხარდაჭერის არსებული მექანიზმების ეფექტურობის დადგენას და ფინანსური რესურსების წვდომის გასაუმჯობესებლად რეკომენდაციების შემუშავებას.

## 2. მეთოდოლოგია

კვლევის პროცესში გამოყენებულია უცხოელი და ქართველი მეცნიერების ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციებში გამოქვეყნებული სტატიები, საერთაშორისო ინსტიტუტების, ავტორიტეტული ორგანიზაციების სამთავრობო ანგარიშები, კვლევები და სტატისტიკური მონაცემები. კვლევის მეთოდად გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის მეთოდები.

## 3. კვლევის შედეგების განხილვა

### 3.1. 2016-2020 წლებში საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსებზე წვდომის კომპონენტში განხორციელებული რეფორმების შეფასება.

კვლევის შედეგად:

- გამოვლინდა ის ძირითადი გამოწვევები, რაც 2016-2020 წლებში მიმდინარე რეფორმების კვალდაკვალ აისახა სამეწარმეო სექტორში;
- შეფასდა გატარებული ღონისძიებების ეფექტურობა.

მცირე და საშუალო საწარმოები ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი ბერკეტია. მეწარმეობის მხარდასაჭერად 2016 წელს მთავრობის მიერ შემუშავდა საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისათვის, რომლის 5 ძირითადი სტრატეგიული მიმართულებიდან ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას სწორედ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება წარმოადგენდა.

ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდის უზრუნველსაყოფად მიზნად დაისახა **ფინანსური განათლების ამაღლება** ქვეყანაში, რისთვისაც შემუშავდა ფინანსური წიგნიერების ეროვნული სტრატეგია. შეიქმნა საგანმანათლებლო ვიდეო რგოლები, ონლაინ ტრენინგ მოდულები და ელექტრონული რესურსები (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2021). პროგრამის ფარგლებში გადამზადდნენ, როგორც მოქმედი მეწარმეები, ისე დამწყები სტარტაპები. შეიქმნა ახალი პლატფორმა ფინანსური განათლების გაძლიერების მიზნით - [FinEdu.gov.ge](http://FinEdu.gov.ge) და სხვ.

2016-2020 სტრატეგიის, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიმართულებით აქტივობის ფარგლებში განხორციელდა **ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების** დანერგვისათვის საწარმოების მხარდაჭერა. დამტკიცდა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და

აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი, განხორციელდა თვინინგის პროექტი ფინანსური აღრიცხვისა და აუდიტის ხარისხის ასამაღლებლად.

რაც შეეხება მცირე და საშუალო მეწარმეობის **კომერციული ბანკებიდან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან დაფინანსების** მიმართულებით საქართველოს მთავრობის მხარდაჭერას, გაიზარდა მცირე და საშუალო ბიზნესზე გაცემული დაფინანსების მოცულობა. 2015-2019 წლებში მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემული სესხის პორტფელის საშუალო წლიური ზრდა 21,4 % დაფიქსირდა (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2019). ფინანსებზე წვდომა შედარებით გამარტივდა, რაც გამოიხატა ბანკების საპროცენტო განაკვეთის შემცირებაში (OECD, 2022). დაიწყო დაფინანსების ალტერნატიული მექანიზმების განვითარების მხარდაჭერა.

ფინანსური სექტორის დომინანტი პოზიცია საქართველოში **საბანკო სექტორს** უკავია, ხოლო მთლიანი საბანკო სექტორის 77% უკავია ორ კონკურენტ ბანკს საქართველოს ბანკსა და თიბისი ბანკს, რომლებიც უფრო დივერსიფიცირებულია ვიდრე უფრო მცირე ბანკები (Conde and Gattini, 2019). მიკროსაფინანსო ორგანიზაციები კი არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების ძირითადი სექტორია. 2020 წლის მესამე კვარტლის მდგომარეობით მათი აქტივები შეადგენდა 1.4 მლრდ დოლარს, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 2.8 %-ს შეადგენს.

2016-2020 წლებში საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ხელშეწყობით დამწყებ ბიზნესებს ფინანსური რესურსების მოძიებისა და არაფინანსური მხარდაჭერის შესაძლებლობა გაუჩნდათ. დაინერგა მცირე და საშუალო საწარმოების საგრანტო დაფინანსების პროგრამები, გაიცა თანადაფინანსების და მიკრო გრანტები. სიცოცხლისუნარიანი ბიზნესებისათვის კრედიტების მოძიების მხარდაჭერის მიზნით სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ხელშეწყობით შემუშავდა საკრედიტო საგარანტიო სისტემა, რომელმაც ფინანსური მხარდაჭერა გაუწია ისეთ კომპანიებს, რომელთაც არასაკმარისი უზრუნველყოფის გამო კრედიტის მიღების შესაძლებლობა ფაქტიურად არ ჰქონდათ (სააგენტო „აწარმოე საქართველოში“, 2020).

შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამით ბანკების მიერ გაცემული შეღავათიანი კრედიტის მოცულობამ 2016-2020 წლებში 1,919.0 მლნ. ლარი შეადგინა, ხოლო კრედიტის პროცენტის სახელმწიფო თანადაფინანსებამ - 506.7 მლნ. ლარი (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2021).


2016-2020 წლებში განხორციელებული რეფორმების ეფექტურობის შესაფასებლად მნიშვნელოვანია ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევის შედეგების მიმოხილვა. OECD აფასებს საქართველოს, როგორც საუკეთესო შედეგების მქონე ქვეყანას



მცირე ბიზნესის მარეგულირებელი კანონმდებლობის შექმნაში აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის (მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ინდექსი, 2020).

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ანგარიშის თანახმად, საქართველოს რეიტინგი 12 კომპონენტის მიხედვით შეფასდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ და 2016 წელთან შედარებით 12-ვე მიმართულებით გაუმჯობესება დაფიქსირდა (დიაგრამა 3.1.1). მათ შორის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი 2012 წელთან შედარებით 0.52 ქულით და 2016 წელთან შედარებით 0.22 ქულით გაიზარდა.


დიაგრამა 3.1.1. საქართველოს სარეიტინგო ქულები სხვადასხვა კომპონენტში



წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველო მსოფლიო რეიტინგებში, 2023

ACT კვლევის თანახმად, 2021 წლის მდგომარეობით, ყველაზე ხშირად გამოყენებული ფინანსური პროდუქტი საქართველოში არის სასაქონლო კრედიტი, საბანკო ბიზნეს სესხი და საკრედიტო ხაზი ( დიაგრამა 3.1.2).

დიაგრამა 3.1.2. გამოყენებული ფინანსური პროდუქტები



წყარო: ACT, 2021

ამავე კვლევის თანახმად, საბანკო ანგარიში გახსნილი აქვს გამოკითხულთა 75 %-ს. მათ შორის თბილისში 83 %-ს და რეგიონებში 68 %-ს.

მეწარმეების ფინანსურ მდგომარეობაზე მოცემულ წლებში უარყოფითად იმოქმედა კოვიდ-19-ის პანდემიამ, რამაც მათი კომპანიების ლიკვიდობის სერიოზული პრობლემები შექმნა, რაც ზემოაღნიშნულ კვლევაშიც გამოვლინდა. აღნიშნული პრობლემის შემსუბუქების მიზნით არაერთი ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიება განხორციელდა სახელმწიფოს მხრიდან საგადასახადო ვალდებულებების ჩამოწერის თუ გადავადების გზით. ჯამში, სახელმწიფო ანტიკრიზისული გეგმის მიხედვით ბიზნესის მხარდაჭერამ ჯამში 2,273.0 მლნ. ლარი შეადგინა.

მთავრობის მიერ 2016-2020 წლებში ფინანსური მხარდაჭერის მიმართულებით განხორციელებული პროექტების შედეგები ასევე აისახა მსოფლიო ბანკის ანგარიშში (მსოფლიო ბანკი, 2020), რომლის მიხედვითაც 2020 წელს „ბიზნესის კეთების“ რეიტინგის - კრედიტზე ხელმისაწვდომობის კატეგორიაში საქართველომ 85 ქულით მე-15 პოზიცია დაიკავა.

თუმცა მიუხედავად ზემოაღნიშნული დადებითი ასპექტებისა, მსოფლიო ბანკის შეფასებით საქართველოს საფინანსო სისტემაში კომერციულ საბანკო სისტემას კვლავ მთავარი ადგილი უკავია (90 %-ზე მეტი). განვითარებული საფინანსო ბაზრები კი გამოწვევად რჩება საქართველოში. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ასევე მაღალი კრიტერიუმი რჩება საბანკო კრედიტის უზრუნველსაყოფად საჭირო გირაოს მოცულობა - საშუალოდ სესხის 194%. ასევე მაღალია მცირე საწარმოებისათვის დაკრედიტებაზე უარის თქმის მაჩვენებელი - 20.6%.

ფინანსებზე წვდომას ასევე აფერხებს ფინანსური განათლებისა და უნარების დაბალი მაჩვენებელი, მოსაწესრიგებელია ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემა, რაც მიუხედავად გატარებული რეფორმებისა, კვლავ დაბალი ხარისხით ხასიათდება.

ამრიგად, 2016-2020 წლებში სახელმწიფო მხარდაჭერა მიმართული იყო ფინანსური ხელმისაწვდომობის გაძლიერების ისეთ კომპონენტებზე, როგორცაა ფინანსური განათლების გაუმჯობესება ქვეყანაში, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა, მეწარმეთა ცოდნის გაღრმავება ფინანსების გაზრდის (fund raising) საკითხებში, ბიზნესის მხარდაჭერა საფინანსო ინსტიტუტების დაფინანსების მიმართულებით და მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსება გრანტებით. ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ განხორციელებულმა ღონისძიებებმა აჩვენა დადებითი დინამიკა მცირე და საშუალო მეწარმეობის ფინანსური ხელმისაწვდომობის კომპონენტში. თუმცა ამავე დროს გამოავლინა ის საკითხები, რომლებიც გასაუმჯობესებელია და საჭიროებს განვითარებას ჩვენს ქვეყანაში, როგორცაა ფინანსური განათლება და უნარები, დაფინანსების ალტერნატიული მექანიზმების განვითარება, გირაოს საგანი, ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემა, ვენჩერული კაპიტალისა და ანგელოზი ინვესტორების ეკოსისტემის განვითარების და სხვ.

### **3.2. საქართველოს 2021-2025 მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის ფარგლებში ფინანსებზე წვდომის კომპონენტში განხორციელებული მიმდინარე რეფორმების შეფასება**

კვლევის შედეგად:

- გამოვლინდა ის ძირითადი გამოწვევები, რაც 2021-2023 წლებში მიმდინარე რეფორმების კვალდაკვალ აისახა სამეწარმეო სექტორში;
- შეფასდა გატარებული ღონისძიებების ეფექტურობა.

საქართველოს მთავრობის მიერ 2021 წელს დაამტკიცებული საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია ერთ-ერთ პრიორიტეტად კვლავ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას ისახავს, როგორც მეწარმეობის



განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს დაბრკოლებას (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2021).

სტრატეგიის პირველი ქვეაქტივობის, *სახელმწიფო დაფინანსების პროგრამების განვითარებისათვის*, „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს მიერ შეიქმნა ახალი პროდუქტი „ექსპორტის სტიმულირების პროგრამა“ და განახლდა არსებული პროგრამები. სოფლის განვითარების სააგენტომ ასევე დაიწყო ახალი პროგრამები და ცვლილებები განახორციელა უკვე არსებულ ისეთ პროგრამებში, როგორცაა: სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსება, ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია და სხვ. *დაფინანსების ალტერნატიული მექანიზმების* განვითარებისათვის მიმდინარე ეტაპზე განხორციელებული აქტივობების შედეგად ლიზინგის პორტფელის მოცულობამ 414 მლნ. ლარი შეადგინა. 2022 წელს ასევე შემუშავდა კანონპროექტი „ფაქტორინგის“ შესახებ.

სტრატეგიით გათვალისწინებული შემდეგი აქტივობის - *გირავნობის საგნის გაფართოების* აქტივობის ფარგლებში 2022 წელს დაიწყო მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმა. გატარებული რეფორმა ზრდის მეწარმეებისათვის ფინანსების ხელმისაწვდომობას, ვინაიდან გაზრდილი გირაოს მოცულობის საფუძველზე იმატებს მიწით უზრუნველყოფილი სესხის მიღების შესაძლებლობა. *ფინანსური ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ხარისხის ზრდის ხელშესაწყობად* შეიქმნა პორტალი, სადაც საწარმოები ცენტრალიზებულად წარადგენენ ანგარიშგებებს და მიმდინარეობს ადმინისტრირების პროცესი. ფინანსური კვალიფიკაციის ასამაღლებლად 2022 წელს გადაიზარდა 80-მდე პირი. ხარისხის კონტროლის შემოწმების მიზნით 2022 წელს მონიტორინგი ჩატარდა 32 აუდიტორულ ფირმას.


*ვენჩერული კაპიტალისა (Venture Capital) და ანგელოზი ინვესტორების (business angels) ეკოსისტემის განვითარების ხელშესაწყობად* 2022 წელს სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ და „500 Georgia, LLC“-ს საინვესტიციო ფონდს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც პირველი ტრანშის სახით გადაირიცხა 506,756.76 აშშ დოლარი.

გარდა ზემოაღნიშნული ღონისძიებებისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით მთავრობის მიერ შემუშავდა 2021-2027 წლების სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის პირველადი ნაწარმის გადამამუშავებისა და შენახვა-რეალიზაციის პროცესებისათვის ხელმისაწვდომი ფულადი რესურსებით ხელშეწყობას (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2019).

ფინანსური მხარდაჭერის ეფექტურობის შეფასების მიზნით სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ 2023 წელს ჩაატარა კვლევა, რომლის ფარგლებშიც გამოიკითხა 2021-2022

წელს საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილე ქართული კომპანიები. კვლევის თანახმად, სულ მოცემულ პერიოდში შედგა 2,364 შეხვედრა, რომელთა საფუძველზე ახალი შეთანხმება მიღწეულ იქნა 164 არსებულ და 196 ახალ საერთაშორისო შემსყიდველთან. ახალ/არსებულ პარტნიორებთან შეთანხმება მიღწეულ იქნა გამოკითხული კომპანიების 63%-ში.

გატარებული ღონისძიებების შედეგად საქართველოს ბიზნეს გარემოში ასახული ცვლილებების შეფასება, ასევე ხორციელდება საქართველოს ბიზნეს ასოციაციის მიერ, რომელიც რეგულარულად, კვარტალში ერთხელ აწარმოებს საქართველოს ბიზნეს კლიმატის კვლევას. 2023 წლის მესამე კვარტლის BAG (საქართველოს ბიზნეს კლიმატი) ინდექსის კვლევის შედეგების მიხედვით, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა დასახელებულია 5 ძირითად, ხელისშემშლელ ფაქტორებს შორის, თუმცა უკავია ყველაზე მცირე წილი -13% (საქართველოს ბიზნეს ასოციაცია, 2023).




### დიაგრამა 3.2.1. ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორები

წყარო: საქართველოს ბიზნეს ასოციაცია, 2023

2023 წლის პირველი 3 კვარტლის საშუალო მონაცემებით შეზღუდული ფინანსური რესურსები პრობლემად დაასახელა 14 %-მა, ანუ 3%-ით მეტმა, ვიდრე წინა წელს. თუმცა 2020-2021 წლებთან შედარებით ინდიკატორი მკვეთრად გაუმჯობესებულია: 2021 წელთან შედარებით - 6%-ით ნაკლები, ხოლო 2020 წელთან შედარებით - 8 %-ით ნაკლებია.


დიაგრამა 3.2.2. ფინანსური რესურსების შეზღუდულობა 2019-2023 წლებში



წყარო: საქართველოს ბიზნეს ასოციაცია, 2023

გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ ფინანსურ რესურსებზე წვდომის პრობლემა ყველაზე შესამჩნევი მრეწველობის სექტორშია, ხოლო ყველაზე ნაკლებად შესამჩნევი მომსახურების სფეროში.


დიაგრამა 3.2.3. შეზღუდული ფინანსური რესურსები სექტორების მიხედვით



წყარო: საქართველოს ბიზნეს ასოციაცია, 2023

საწარმოთა ზომის მიხედვით კი, შეზღუდული ფინანსური რესურსები უფრო ნაკლებად უშლის ხელს მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს (28%), ვიდრე მსხვილ კომპანიებს (44%).


დიაგრამა 3.2.4. შეზღუდული ფინანსური რესურსები საწარმოთა ზომის მიხედვით



წყარო: საქართველოს ბიზნეს ასოციაცია, 2023

2023 წლის პირველი 3 კვარტლის საშუალო მონაცემით, გამოკითხულთა იმ ნაწილში, ვინც სცადა დაფინანსების მოპოვება, თითქმის იგივე რაოდენობა ასახელებს ფინანსებზე წვდომას პრობლემად, რამდენიც 2020-2021 წლებში იყო. ამასთან მაჩვენებელი ბევრად აღემატება (9%-ით მეტი) 2022 წლის საშუალო მაჩვენებელს. რაც იმას ნიშნავს, რომ კომპანიებისთვის ფინანსებზე წვდომა კვლავ პრობლემად რჩება.

დიაგრამა 3.2.5. ფინანსებზე წვდომა ბიზნესისთვის



წყარო: საქართველოს ბიზნეს ასოციაცია, 2023

ფინანსური განათლების კვლევის მიზნით OECD მიერ 2021 წელს ჩატარდა კვლევა, რომლის თანახმადაც საქართველოს მოსახლეობის ფინანსური განათლების დონე OECD ქვეყნების, ასევე საერთაშორისო კვლევაში მონაწილე 26 ქვეყნის საშუალოზე დაბალია და თითქმის, 2016 წელს ჩატარებული ანალოგიური კვლევის მაჩვენებლების იდენტურია (OECD, 2021). PISA-ს (OECD's Programme for International Student Assessment) 2018 წლის კვლევაში, რომელიც მოიცავს 15 წლის მოზარდებში, ფინანსური განათლების მაჩვენებელს, საქართველო კვლევაში მონაწილე 20 ქვეყანას შორის მე-19 ადგილზეა. ასევე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის „ფინანსური განათლების საერთაშორისო ქსელ“-ის (OECD/INFE) მიერ მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ფინანსური განათლების 2021 წლის საერთაშორისო კვლევის შედეგების თანახმად ფინანსური განათლების სარეიტინგო მონაცემი საქართველოში, კვლევაში მონაწილე 14 ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე დაბალია. შედეგების თანახმად, საქართველოს ფინანსური განათლების ქულა 17 ქულიანი შკალით 10.3 ქულა (60%) შეადგინა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ OECD-ის ფინანსური განათლების საერთაშორისო ქსელმა (INFE) მეწარმეთა ფინანსური ცოდნის კვლევის გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავა კითხვარი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოში მონაცემთა შეგროვების დროს (OECD, 2020).

საინტერესოა 2021 წელს საქართველოში ჩატარებული ერთ-ერთი კვლევა, რომლის მიხედვითაც გამოკითხულ ქართველ მეწარმეთა უდიდესმა ნაწილმა - 54,5%-მა აღნიშნა, რომ სახელმწიფოს საგრანტო პროგრამები მეტად თუ ნაკლებად პასუხობს მათ მოთხოვნილებებს, ხოლო 26%-მა კი აღნიშნა, რომ საერთოდ არ პასუხობს. ამავე დროს მეწარმეებმა დაასახელეს ის გამოწვევები, რომლებიც. მათი აზრით, საჭიროებს მეტ ყურადღებას სახელმწიფოს მხრიდან, ესენია: გაყიდვების კუთხით ხელშეწყობა; ცნობადობის ამაღლების ხელშეწყობა; საერთაშორისო ბაზრების ათვისების მიმართულებით მხარდაჭერა; ინოვაციური მიმართულებების მხარდაჭერა; საგადასახადო შეღავათები, განსაკუთრებით საწარმოო საქმიანობის დასაწყისში; ციფრული ტექნოლოგიების ტრენინგებით თანამშრომელთა უზრუნველყოფა; ახალგაზრდა თაობის მხარდაჭერა იდეების განხორციელებაში; სესხებზე პროცენტის შემცირება; საგრანტო პროგრამების გაზრდა; საგრანტო პროგრამების კრიტერიუმების ლოგიკურობა და ადეკვატურობა; ხელშეწყობა ინვესტორების მოძიებაში; ბიუროკრატიის შემცირება და სხვ.

აღნიშნულმა კვლევამ გამოავლინა ასევე ის გარემოება, რომ მიუხედავად იმისა, რომ საგრანტო პროექტების მიმართ დიდია მეწარმეთა ინტერესი, მცირე მეწარმეთა მხოლოდ 2.9 % იყენებს მას, როგორც დაფინანსების ძირითად წყაროს. ხოლო მათი საჭიროების შესაბამისი მოცემული პროგრამები მხოლოდ 19.5 %-სთვისაა. უდიდეს ტვირთად მეწარმეებს საგადასახადო განაკვეთი აწევს. გამოკითხულთა 46.1 % საშემოსავლო



გადასახადის და 32.4 % დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთის შემცირებაში ხედავს ბიზნესის განვითარების პოტენციალს (მაღლაკელიძე, 2022).

ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მიუხედავად ბოლო წლებში განხორციელებული მრავალი აქტივობისა და შედეგებში ასახული აშკარა წინსვლისა, ჯერ კიდევ მრავალი გამოწვევაა გადასალახი მცირე და საშუალო ბიზნესის მდგრადი, ინოვაციური მიმართულებით განვითარების უზურუნველსაყოფად. ფინანსური მხარდაჭერის პროგრამების შემუშავებისას საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს და სიღრმისეულად იყოს გამოკვლეული მეწარმეთა საჭიროებები. მოცემული ხელს შეუწყობს საგრანტო პროექტებისა და სახელმწიფო პროგრამების ეფექტურობის ზრდასა და ბიზნესის განვითარებას. აუცილებელია განვითარდეს დაფინანსების ალტერნატიული მექანიზმები, გაიზარდოს ფინანსური განათლების დონე და სტრატეგიის შემუშავებისას სასურველია გათვალისწინებულ იქნეს საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები.

#### 4. დასკვნა

- საქართველოს საფინანსო სისტემაში დომინანტური როლი დღემდე კომერციულ საბანკო სისტემას უკავია (90 %-ზე მეტი). განვითარებული საფინანსო ბაზრები კი კვლავ გამოწვევად რჩება.
- მეწარმეთა ფინანსური განათლების ამაღლების მიმართულებით ბოლო წლებში საქართველოში გატარდა მრავალი ღონისძიება, თუმცა საქართველოს მოსახლეობის ფინანსური განათლების დონე კვლავ გამოწვევების წინაშე დგას. საჭიროა მეტი დაინტერესებული მხარის ჩართვა აღნიშნულ პროცესებში.
- მიუხედავად იმისა, რომ დაიწყო დაფინანსების ალტერნატიული მექანიზმების განვითარების მხარდაჭერა, ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად განვითარებული ლიზინგი, ფაქტორინგი, ვენჩერული კაპიტალი და ანგელოზი ინვესტორები;
- OECD-ის რეკომენდაციების შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური მხარდაჭერის პოლიტიკაში ყურადღება უნდა გამახვილდეს საწარმოთა სიცოცხლისუნარიანობის ტიპის მიხედვით მხარდაჭერის სწორად გადანაწილებაზე. დაფინანსების ინსტრუმენტების განვითარების მიზნით ხელი უნდა შეეწყოს ისეთი მექანიზმების დანერგვას, როგორცაა ონლაინ დაკრედიტება, ფინტეკი და ქრაუდფანდინგი.
- მაღალი კრიტერიუმი რჩება საბანკო კრედიტის უზურუნველსაყოფად საჭირო გირაოს მოცულობა - საშუალოდ სესხის 194%. მაღალია მცირე საწარმოებისათვის დაკრედიტებაზე უარის თქმის მაჩვენებელი - 20.6%;

- მეწარმეები ასახელებენ იმ ძირითად ბარიერებს, რაც მათ ბიზნესს უშლის ხელს განვითარებაში და მათ აღმოსაფხვრელად გასატარებელ ქმედებებს. ესენია: გაყიდვების კუთხით ხელშეწყობა, ცნობადობის ამაღლების, ინოვაციური მიმართულებების მხარდაჭერა, ციფრული ტექნოლოგიების ტრენინგებით თანამშრომელთა უზრუნველყოფა, სესხებზე პროცენტის შემცირება, საგრანტო პროგრამების გაზრდა, ბიუროკრატიის შემცირება და სხვ.
- ფინანსური მხარდაჭერის პროგრამების შემუშავებისას საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს და სიღრმისეულად იყოს გამოკვლეული მეწარმეთა საჭიროებები. მოცემული ხელს შეუწყობს საგრანტო პროექტებისა და სახელმწიფო პროგრამების ეფექტურობის ზრდასა და ბიზნესის განვითარებას;

## ბიბლიოგრაფია:

1. ევროკავშირი საქართველოსთვის (2020). ENPARD. [https://eu4georgia.eu/wp-content/uploads/enpard\\_ge-2020.pdf](https://eu4georgia.eu/wp-content/uploads/enpard_ge-2020.pdf).
2. მაღლაკელიძე, ა. (2019ა). მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და საშუალო ფენის ფორმირება საქართველოში. ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“, 7, 123-129. DOI: <https://doi.org/10.35945/gb.2019.07.015>
3. მაღლაკელიძე, ა. (2020ა). ციფრული მეწარმეობის გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოში. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, XII(3), 154-168
4. მაღლაკელიძე, ა. (2022). მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში (სადოქტორო დისერტაცია, თბილისი)
5. მექვაბიშვილი, ე. (2016). თანამედროვე ეკონომიკური თეორიები (ლექციების კურსი). თბილისი. <https://tsu.ge/assets/media/files/7/biblioteka/elguja.pdf>
6. მეწარმეების ფინანსური განათლების 2021 წლის გლობალური კვლევის შედეგები ცნობილია. (n.d.). Retrieved from <https://finedu.gov.ge/>: <https://finedu.gov.ge/ge/metsarmeebis-finansuri-ganatilebis-2021-tslis-globaluri-kvlevis-shedegebi-tsnobilia-1>
7. სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ (2020). წლიური ანგარიში 2020 <http://www.enterprisegeorgia.gov.ge/uploads/files/publications/606ea449f3169-Annual-Report-2020.pdf>
8. საერთაშორისო მხარდაჭერა. (n.d.). Retrieved from თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან: <https://dcfta.gov.ge/ge/international-support>
9. საქართველოს ბიზნეს ასოციაცია. (n.d.). BAG ინდექსი, ბიზნეს კლიმატი. Retrieved from <https://bag.ge/>: <https://bag.ge/file.helix?i=047349eb-c907-4464-9204-433cef45c0c4&r=P>
10. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (2016). საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020
11. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (2021). საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025.
12. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (2022). საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიის 2021 წლის სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში [https://www.economy.ge/uploads/files/2017/ek\\_politika/sme\\_strategy/2022/sme\\_strategy\\_2022.pdf](https://www.economy.ge/uploads/files/2017/ek_politika/sme_strategy/2022/sme_strategy_2022.pdf)
13. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2023). Retrieved from [www.economy.ge](http://www.economy.ge):

[https://www.economy.ge/uploads/files/2017/reitingebi/2023/ratings\\_2023\\_geo\\_29\\_11\\_2023.pdf](https://www.economy.ge/uploads/files/2017/reitingebi/2023/ratings_2023_geo_29_11_2023.pdf)

14. საქართველოს ეროვნული ბანკი „საქართველოს ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია“ (2016)  
[https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/financial\\_literacy\\_strategy/Financial\\_Literacy\\_Strategy.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/financial_literacy_strategy/Financial_Literacy_Strategy.pdf)
15. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია (2021) 2021-2027წ. <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/20395>
16. Business Ready (B-READY). (n.d.). Retrieved from World Bank Group:  
<https://www.worldbank.org/en/businessready>
17. Conde and Gattini (2019). “Financing in Georgia: Small and medium enterprises and the private sector.”
18. Conde, J., & Gattini, L. (2019, 09). Financing in Georgia: Small and medium enterprises and.
19. „EBRD საქართველოში, 2021 წლის შედეგების მიმოხილვა“ (2022)  
<https://www.ebrd.com/where-we-are/georgia/overview.html>
20. EBRD, EIB and WB (2019). “Enterprise Survey.” Enterprise Surveys Indicators Data - World Bank Group
21. EIB (2018). “Bank Lending Survey.”
22. EU4Digital (2020), Digital innovation SMEs’ access to finance: policy recommendations: Georgia, <https://eufordigital.eu/wp-content/uploads/2020/07/Digital-innovation-SMEs%E2%80%99-access-to-finance-Policy-recommendations-Georgia.pdf>
23. European Union (2019). EU policy framework on SMEs: state of play and challenges. DOI: 10.2863/612657
24. EU4Business. (n.d.). Retrieved from <https://eu4business.ge/>
25. European Investment Bank. (2021, 10). Georgia - Country Diagnostic. Retrieved from [www.eib.org](http://www.eib.org): [https://www.eib.org/attachments/publications/georgia\\_country\\_diagnostic\\_en.pdf](https://www.eib.org/attachments/publications/georgia_country_diagnostic_en.pdf)
26. FinEdu. (n.d.). Retrieved from <https://finedu.gov.ge/>: <https://finedu.gov.ge/>
27. Georgia data. (n.d.). Retrieved from European Bank: <https://www.ebrd.com/georgia-data.html>
28. IMF (2020). “Financial Development Index Database.” Financial Development - Story - IMF Data
29. IMF (2021). “Financial Soundness Indicators.” Financial Soundness Indicators - FSIs Home - IMF Data
30. Launch: Results of the OECD PISA 2018 financial literacy. (n.d.). Retrieved from <https://www.oecd.org/>: <https://www.oecd.org/finance/financial-education/launch-pisa-financial-literacy-results-2018.htm>

31. Loans. (n.d.). Retrieved from European Bank: <https://www.ebrd.com/work-with-us/project-finance/loans.html>
32. National Bank of Georgia. (n.d.). Retrieved from <https://nbg.gov.ge/>
33. National Bank of Georgia (2019), Annual report. [https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2020/annual\\_report\\_eng.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2020/annual_report_eng.pdf)
34. OECD (2020), OECD/INFE survey instrument to measure the financial literacy of MSMEs, <https://www.oecd.org/financial/education/2020-survey-to-measure-msme-financial-literacy.pdf>
35. OECD (2022), Fostering Business Development and Digitalisation in Georgia, OECD Publishing, Paris, <https://doi.org/10.1787/c6e27d8a-en>
36. OECD (2020) „SME Policy Index - 2020“
37. OECD/INFE (2021) მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ფინანსური განათლების კვლევა <https://finedu.gov.ge/ge/metsarmeebis-finansuri-ganatilebis-2021-tslis-globaluri-kvlevis-shedegebi-tsnobilia-1>
38. OECD. (n.d.). Retrieved from [www.oecd.org](http://www.oecd.org): <https://www.oecd.org/eurasia/competitiveness-programme/Fostering%20Business%20Development%20and%20Digitalisation%20in%20Georgia%20with%20cover.pdf>
39. Transition Report 2022-2023. (n.d.). Retrieved from European Bank: <https://2022.tr-ebrd.com/countries/#>